2017

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი ბიულეტენი №11

პერიოდული გამოცემა
შემოდგომა 2017

ფოტო: https://www.carnegiecouncil.org/publications/picks/0052

შინაარსი

1. შესავალი 3

2. მთავარი მოვლენა 4

2.1 სახალხო დამცველის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამართულ მაღალი დონის სემინარზე მოხსენება წარადგინა 4

3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა 4

3.1 განხორციელებული ვიზიტები 4

3.1.1 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები 4

3.1.2 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი 4

3.1.3 ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი 5

3.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან 5

3.2.1 პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს სხდომა 6

3.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა 6

3.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება 7

4. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილის შესახებ 7

5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა 8

6. საკანონმდებლო მიმოხილვა 10

6.1 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა 10

6.2 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში 11

7. ფოკუსი 11

7.1 სახალხო დამცველის სპეციალური კვლევა პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ 11

8. ექსპერტის მოსაზრება 12

9. საერთაშორისო სიახლეები 13

1. შესავალი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მე-11 ბიულეტენში წარმოგიდგენთ ინფორმაციას ჩვენს მიერ შემოდგომის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამართულ მაღალი დონის სემინარზე მოხსენება წარადგინა. ამავე პერიოდში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მეცხრე სხდომა გაიმართა. გამოცდილების გაზიარების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველმა მოლდოვის რესპუბლიკის პრევენციის ეროვნული მექანიზმის დელეგაციას უმასპინძლა. დასრულდა პროექტის ძირითადი ფაზა, რომელიც მიზნად ისახავდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი კონტროლის (Follow-up) ინსტრუმენტების შექმნას.

გავესაუბრეთ 2017 წელს N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულებს და ჩავატარეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი. გარდა ამისა, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგში.

ბიულეტენში გაეცნობით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის შესახებ. რეკომენდაციების შესრულების დინამიკის ნაწილში მოკლედ არის მიმოხილული 2017 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვის თავში ვსაუბრობთ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფიზიკური შებოჭვის, იზოლაციისა და ქიმიური შეზღუდვის სტანდარტებთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო მიმოხილვის თავში გაეცნობით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ინიციატივას პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებულ მსჯავრდებულებთან მიმართებაში.

ნომრის ფოკუსს წარმოადგენს სახალხო დამცველის სპეციალური კვლევა პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ. საერთაშორისო სიახლეებში გაეცნობით გაეროს ექსპერტების განცხადებას პოლიციის მხრიდან ძალადობასთან დაკავშირებით.

ბიულეტენის წინამდებარე ნომერში ასევე იხილავთ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისა და ჯანდაცვის საკითხებში ექსპერტის მერაბ ქავთარაძის მოსაზრებებს პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

2. მთავარი მოვლენა

2.1 სახალხო დამცველის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამართულ მაღალი დონის სემინარზე მოხსენება წარადგინა

2017 წლის 6 ოქტომბერს, შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გაიმართა სემინარი სახელწოდებით - „დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის პერიოდში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის მიზნით დაცვის ეფექტიანი გარანტიების უზრუნველყოფა“.

სემინარზე მომხსენებლებს შორის იყვნენ გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში ნილს მელცერი, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის პრეზიდენტი იენს მოდვიგი, წამების პრევენციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მალკოლმ ევანსი, წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენელი ბარბარა ბერნატი, ბრაზილიის და ჩილეს მაღალი რანგის მოსამართლეები. აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე მსოფლიოს 65 პრევენციის ეროვნული მექანიზმიდან მომხსენებლად მხოლოდ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენელი, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნიკა კვარაცხელია იყო მიწვეული.

ღონისძიებაზე ნიკა კვარაცხელიამ წამების პრევენციის საქმეში საზედამხედველო ორგანოების, მათ შორის პრევენციის ეროვნული მექანიზმების როლზე ისაუბრა; ხაზი გაუსვა საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის მნიშვნელობას, რომელიც მოიცავს როგორც ინდივიდუალურ საქმეებზე რეაგირებას, ასევე პრევენციულ მიმართულებასაც; სემინარის მონაწილეებს გააცნო ცხელი ხაზის და მობილური ჯგუფების მუშაობის სპეციფიკა, განიხილა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის ფუნქციები, სამუშაო მეთოდოლოგია და გამოცდილება. აღნიშნა სახალხო დამცველის მიერ წამოწყებული საინფორმაციო კამპანია - „საზოგადოება წამების წინააღმდეგ“.

შეხვედრაზე მიმოიხილეს წამების პრევენციის კუთხით არსებული მიღწევები და გამოწვევები. მრავალჯერ გაიჟღერა მოწოდებამ სახელმწიფოების მიმართ, მიიღონ საჭირო ზომები წამების პრევენციის იდეის პრაქტიკული განხორციელების მიზნით და მჭიდროდ ითანამშრომლონ პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2016 წლის 24 მარტის რეზოლუციის თანახმად, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი სემინარის შესახებ შემაჯამებელ ანგარიშს ადამიანის უფლებათა საბჭოს 37-ე სესიაზე წარმოადგენს.

3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

3.1 განხორციელებული ვიზიტები

3.1.1 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები

N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულებთან გასაუბრება

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები 2017 წლის 20-21 სექტემბერსა და 1-2 ნოემბერს ქუთაისში მდებარე N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და თბილისში მდებარე N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში აჭარიდან, გურიიდან, შიდა ქართლიდან და სამცხე ჯავახეთიდან მოთავსებულ ბრალდებულებს გაესაუბრნენ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით ხელმძღვანელობდნენ. ამჟამად სპეციალური პრევენციული ჯგუფი მონიტორინგის დროს მოპოვებულ მონაცემებს ამუშავებს და შედეგებს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახავს.

3.1.2 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2017 წლის 25 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით მონიტორინგი განახორციელა აჭარისა და გურიის, ხოლო 7 ნოემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონში მდებარე შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და შსს სამმართველოებში.

მონიტორინგების მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს

დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ დაკავებულ პირებსა და თანამშრომლებს, შეამოწმეს 2017 წელს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია, მათ შორის, დაკავების, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორში გარეგნული დათვალიერების ოქმები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახების ბარათები.

ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით. შემოწმების შედეგად არაერთი საყურადღებო შემთხვევა იქნა დოკუმენტირებული, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას. ანალოგიურად, პოლიციის სამმართველოებში ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ პასუხისმგებელ თანამშრომლებს და შეამოწმეს დაკავებულ პირთა აღრიცხვისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირთა გადაყვანის ჟურნალები; დაათვალიერეს სამმართველოების შენობები, შეამოწმეს, თუ რამდენად ხდება ოჯახის ინფორმირება დაკავების შემდგომ, რამდენად ხელმისაწვდომია ადვოკატი და ექიმი, გამოკითხეს პოლიციის თანამშრომლები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურის შესახებ. ამჟამად სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამუშავებს მონიტორინგის დროს მოპოვებულ დიდი მოცულობის მონაცემებს და მონიტორინგის შედეგებს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახავს.

3.1.3 ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი

2017 წლის 11 ოქტომბერსა და 14 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი განახორციელეს. პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 11 ოქტომბერს გაემგზავრნენ გერმანიის ქალაქ ჰანოვერისა და საბერძნეთის დედაქალაქ ათენის აეროპორტებში, სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოს 63 მოქალაქის დაბრუნების პროცესს დაესწრნენ, ხოლო 14 ნოემბერს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის აეროპორტიდან საქართველოს 46 მოქალაქის დაბრუნების პროცესს დაესწრნენ.

პროცესს კოორდინირებას უწევდა ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი (FRONTEX)“.

დასაბრუნებელი პირების მიღების, შემოწმების და მგზავრობის პროცესის მონიტორინგი უწყვეტად მიმდინარეობდა. დაბრუნების ოპერაციების განმავლობაში რაიმე სახის ინციდენტს ადგილი არ ჰქონია, ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება არ მომხდარა.

სახალხო დამცველის მხრიდან დადებითად შეაფასა გერმანიის ქალაქ ჰანოვერში არსებული განთავსების პირობები. კონკრეტულად, კი აღნიშნულ იქნა, რომ ჰანოვერში აეროპორტის ტერიტორიაზე გამოყოფილი იყო საკმაოდ დიდი ფართი, თავისუფლად იყო ხელმისაწვდომი საკვები და დასაბრუნებელ პირებს (ესკორტის თანხლებით) პირველად მიეცათ მოსაწევად სპეციალურ ტერიტორიაზე გასვლის შესაძლებლობა.

წინა მონიტორინგის მსგავსად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს მოქალაქეებს ჰანოვერისა და დიუსელდორფის აეროპორტიდან საქართველოში სატელეფონო ზარის განხორციელების შესაძლებლობა მისცეს. თუმცა, აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემის სისტემურ გადაჭრას. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, მოახდინონ კომუნიკაცია ფრონტექსისა და დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის განმახორციელებელი ქვეყნების წარმომადგენლებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დასაბრუნებელი პირების ოჯახთან სატელეფონო კავშირი საქართველოში გამომგზავრებამდე.

3.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების შეხვედრა აჭარის, გურიის, შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადვოკატებთან

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები 2017 წლის სექტემბერსა და ნოემბერში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების წარმომადგენლებთან ერთად აჭარის, გურიის, შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატებსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა დაკავებულ პირთა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ. ასევე, დამატებითი ინფორმაცია მიიღეს და შეხვედრის მონაწილეებს სახალხო დამცველის მანდატი და საქმიანობის სფერო გააცნეს.

3.2.1 პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2017 წლის 2 ოქტომბერს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მეცხრე სხდომა გაიმართა. სხდომაზე პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა.

შეხვედრაზე ფსიქიატრიულ და პენიტენციურ დაწესებულებებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები განიხილეს. ასევე, წარმოადგინეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა რეკომენდაციის შესრულების კონტროლის პროცედურის გადახედვა და გაუმჯობესება, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ეფექტურობის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით სამუშაო მეთოდოლოგიის გადასინჯვა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ისაუბრეს საკონსულტაციო საბჭოს კონტრიბუციის

გაზრდის, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერებისა და ადვოკატირების საკითხებზე.

3.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოლდოვის რესპუბლიკის პრევენციის ეროვნული მექანიზმის დელეგაციას უმასპინძლა

2017 წლის 18-20 ოქტომბერს მოლდოვის რესპუბლიკის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები საქართველოში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის გაცნობა. მოლდოვის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სახალხო დამცველი მიხაილ კოტორობაი, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები და წამებასთან ბრძოლის კოლეგიის წევრები.

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში სტუმრები საქართველოს სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს შეხვდნენ. სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოლდოველ კოლეგებს პენიტენციურ დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელების და რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მეთოდოლოგია გააცნეს.

ქართველმა და მოლდოველმა კოლეგებმა ჩაატარეს ერთობლივი სასწავლო ვიზიტი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ეროვნულ ცენტრში, თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორსა და პენიტენციური დეპარტამენტის N16 დაწესებულებაში, სადაც სტუმრები საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დაწესებულებების შემოწმების სპეციფიკას გაეცნენ.

3.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა რეკომენდაციის შესრულების ადვოკატირებისა და კონტროლის სისტემის დახვეწაზე მუშაობა დაასრულა

2017 წლის 23-25 ოქტომბერს, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, მესამე და საბოლოო სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები, და წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენლები ბენ ბაკლენდი (მრჩეველი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სფეროში) და ევა შჩერგო (სამხრეთ კავკასიის პროექტის ხელმძღვანელი).

შეხვედრის ფარგლებში დამუშავდა რეკომენდაციების შესრულების კონტროლის პრაქტიკული დოკუმენტები, კერძოდ (1) პრევენციის ეროვნული მექანიზმის პრიორიტეტული სფეროების განმსაზღვრელი სტრატეგია, (2) ანგარიშების და რეკომენდაციების წერის წესები, (3) რეკომენდაციების შესრულების გაზომვის პრაქტიკული სახელმძღვანელო და (4) სახელისუფლებო ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირების საკითხზე დიალოგის წარმართვის წესები.

აღნიშნული შეხვედრით დასრულდა პროექტის ძირითადი ფაზა, რომელიც მიზნად ისახავდა რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი კონტროლის (Follow-up) ინსტრუმენტების შექმნას. უახლოეს მომავალში პრევენციის ეროვნული მექანიზმი დაიწყებს აღნიშნული ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენებას, ხოლო საცდელ რეჟიმში მათი გამოყენების შემდგომ გაიმართება შეხვედრა, რომელზეც მხარეები საბოლოოდ შეჯერდებიან ამ დოკუმენტების ფინალური სახით მიღებაზე.

4. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილის შესახებ

4.1 შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრი

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრი 2014 წელს გაიხსნა. ცენტრში თავსდებიან საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირები. სახალხო დამცველმა 2015[1] წელს განხორციელებული მონიტორინგის დროს დადებითად შეაფასა დროებითი განთავსების ცენტრში ინფრასტრუქტურისა და სანიტარულ ჰიგიენური პირობების კუთხით არსებული მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ანგარიშში საუბარი იყო, რომ დაწესებულების მთლიანი ინფრასტრუქტურა ითვალისწინებდა გაძლიერებული უსაფრთხოების კომპონენტებს, რომელიც გარკვეულწილად ქმნიდა ციხის რეჟიმის განცდას. კონკრეტულად კი, ანგარიშში საუბარი იყო მაღალი კედლებითა და მავთულხლართებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, ასევე, ცენტრში არსებული განყოფილებების ფლიგელების შესასვლელში არსებულ გისოსებიან რკინის კარებზე, რომლებიც გასაღებით იკეტებოდა და შესაბამისად ცენტრში მოთავსებულ პირებს თანამშრომლებისთვის მიმართვის გარეშე შეზღუდული ჰქონდათ გადაადგილება ფლიგელებს გარეთ, ეზოსა და სასადილოში, რაც უარყოფითად მოქმედებდა აღნიშნული პირების მდგომარეობაზე და მათ უქმნიდა ციხის რეჟიმის მსგავს პირობებში ყოფნის განცდას.

მონიტორინგის დროისათვის ცენტრში იყო 3 განყოფილება: მამაკაცების, ქალებისა და ოჯახების. განყოფილებების ოთახები უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი განათებით, ვენტილაციით, გამართული სანიტარული კვანძებით და სხვა სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით. მოსასვენებელ ოთახში იდგა ტელევიზორი და ხელმისაწვდომი იყო წიგნები სხვადსხვა ენაზე. დაწესებულებას ასევე ჰქონდა სასეირნო ეზო, რომელშიც განთავსებული იყო სათამაშო მოედანი. დაწესებულებების

[1] [1]საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3777.pdf [ბოლოს ნანახია: 11.12.2017].

სამზარეულო და სასადილო ინფრასტრუქტურა იყო მოწესრიგებული, დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

მიუხედად იმისა, რომ ცენტრში გათვალისწინებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის განკუთვნილი ცალკე ოთახი, არც უნიტაზთან და არც საშხაპეში კედლებზე არ იყო დამონტაჟებული სპეციალური მოაჯირები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

ვიზიტის დროს დაკავებული უცხოელები პრეტენზიას გამოთქვამდნენ საკვების შესახებ. ზოგიერთი მათგანი პრობლემებს შორის ასახელებდა კვების რაციონს, რომელიც მათივე განცხადებით, არ იცვლება. რამდენიმე მათგანი უჩიოდა საკვების სახით პურის დიდი ოდენობით გამოყენებას და მოითხოვდა პურის ბრინჯით ჩანაცვლებას. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საკვების მომზადებისას არ ხდებოდა სხვადასხვა რელიგიური კონფესიისა და ვეგეტარიანელების კვებითი თავისებურებების გათვალისწინება.

ცენტრში მოქმედი დღის წესრიგის შესაბამისად, უცხოელებს უფლება ჰქონდათ ესარგებლათ ტელეფონითა და კომპიუტერით. ვიზიტის დროს ცენტრში მოთავსებულმა უცხოელებმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ტელეფონით პრაქტიკაში სარგებლობის შეუძლებლობა დაასახელეს. კონკრეტულად კი, ცენტრში მოთავსებული პირები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად მათთვის გამოყოფილი დარეკვის დროისა, ადმინისტრაცია მათ ტელეფონით სარგებლობის საშუალებას არ აძლევდა. ცენტრში იყო ერთი კომპიუტერი. გამოკითხული უცხოელების უმრავლესობა არ იყო კომპიუტერით და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებული.

2017 წლის 22 დეკემბერს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დროებითი განთავსების ცენტრში განმეორებითი ვიზიტი განახორციელა და 2015 წლის 17 დეკემბრის მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულება შეამოწმა. მონიტორინგის შედეგები სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში აისახება.

5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა

პენიტენციურ სისტემაში 2017 წელს არსებული ტენდენციების მოკლე მიმოხილვა

პატიმრების მიმართ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით, სახალხო დამცველს საქართველოს პროკურატურისთვის 2017 წელს არ მიუმართავს.

სახალხო დამცველი მიესალმება 2017 წელს პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ ინსტიტუციურ რეფორმას, რომლის ფარგლებშიც პატიმრობის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. დადებითად უნდა შეფასდეს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადების შემცირება, საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულებისთვის წლის განმავლობაში ორი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; ქალი მსჯავრდებულებისათვის, რომლებსაც პენიტენციურ დაწესებულებებში 3 წლამდე ბავშვი ჰყავდათ, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე დღეებში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესაძლებლობის მინიჭება და სხვა.

სახალხო დამცველი ასევე მიესალმება პენიტენციური ჯანდაცვის ორგანიზების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. კერძოდ, სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად, პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების ახალი წესის ამოქმედებას და სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის მართვის სისტემის ნორმატიულ დონეზე განსაზღვრას.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელებულ ცვლილებებსაც, რომლითაც პროცედურულ დონეზე შეიცვალა ხელბორკილის რუტინულად და დაუსაბუთებლად გამოყენების წესი და დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ ვადად 72 საათი განისაზღვრა. მიუხედავად ამისა, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია,

დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალური ვადის 24 საათამდე შემცირების შესახებ.

სახალხო დამცველი ასევე წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად 120 საათის (5 დღე-ღამე) განსაზღვრას, თუმცა, ამავე დროს, კვლავ მიაჩნია, რომ აუცილებელია მითითებული ჩანაწერები ინახებოდეს არანაკლებ 10 დღის ვადით, ხოლო დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული ჩანაწერები 1 თვის ვადით. ამასთან, მნიშვნელოვანია, ასეთ ჩანაწერებზე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაუბრკოლებლად მიუწვდებოდეთ ხელი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პოზიტიური ცვლილებებისა, სისტემაში კვლავ რჩება არაერთი პრობლემა და გამოწვევა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა პატიმრების არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს ქმნის და ხშირად ხდება პატიმრებს შორის ძალადობისა და ჩაგვრის მიზეზი. პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგის შენარჩუნების ინტერესი პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციაში აჩენს ცდუნებას, დაუშვან, და მეტიც, ხელი შეუწყონ დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობის არსებობას. მნიშვნელოვანია, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გააცნობიეროს გამოწვევა, რომელსაც იწვევს დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობა და შეიმუშაოს ამ პრობლემის დაძლევის სტრატეგია.

სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც აიკრძალა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს მსჯავრდებულებს შორის მიმოწერა, ხანმოკლე და ვიდეოპაემნის მიმდინარეობის დროს დაწესდა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა,

დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში მსჯავრდებულებს შეეზღუდათ სასწავლო პროცესში მონაწილეობის და ვიდეოპაემნისა და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება.

პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების ახალი წესის ამოქმედების მიუხედავად, დაზიანებები, ისევე როგორც წინა წლებში, ხარვეზებით აღიწერებოდა და ვერ უზრუნველყოფდა არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიან გამოვლენას და დოკუმენტირებას. უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ექიმის მიერ არასათანადო მოპყრობის გამოვლენის შემთხვევაში, საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეტყობინების გაგზავნის ვალდებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული შემოწმების შედეგები კვლავ ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ბრძანება მწირ ინფორმაციას შეიცავს და შაბლონური ხასიათისაა. საანგარიშო პერიოდში პატიმრობის კოდექსის არც ის დანაწესი შეცვლილა, რომელიც პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას აძლევს შესაძლებლობას, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების შეხვედრას მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან, დააკვირდეს ვიზუალურად, დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, თუმცა მოსმენის გარეშე, რაც სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონს ეწინააღმდეგება.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებთან დაკავშირებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პოლიტიკას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებას, რეაბილიტაციას და შესაბამისად, საზოგადოებაში რეინტეგრაციას. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისათვის დაწესებული შეზღუდვები, როგორც წესი, დაუსაბუთებელია და პატიმრის რისკის ინდივიდუალურ შეფასებას არ ეფუძნება.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, პატიმრის სრული შემოწმების ალტერნატივად სკანერის საშუალებით შემოწმება განისაზღვრა, მონიტორინგმა გამოავლინა, რომ N5 ქალთა დაწესებულებაში სკანერი გამოიყენება სრულ შემოწმებასთან ერთად და არა როგორც მისი ალტერნატივა. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას.

პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული დანაწესი, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს/მსჯავრდებულს სრული შემოწმება უნდა ჩაუტარდეს პირველად შესახლების, დაწესებულების დროებით დატოვებისა და დაბრუნების ყველა შემთხვევაში, ბლანკეტური ხასიათის ნორმაა და სრული შემოწმების რუტინულად და დაუსაბუთებლად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

სახალხო დამცველი მიესალმება 2017 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, თუმცა ზოგიერთი დაწესებულება ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციით, განათებითა და გათბობით, არც სანიტარიულ ჰიგიენური მოთხოვნებია დაცული. პრობლემურია პატიმრის სეზონის შესაფერისი ტანსაცმლითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგება, სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით სარგებლობა და სასეირნო ეზოების მოწყობა. საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი დარჩა ყველა მსჯავრდებულის 4მ² საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პრობლემა.

დახურული ტიპის დაწესებულებებში შეუძლებელია ტელეფონის აპარატებით კონფიდენციალურ გარემოში სარგებლობა.

2017 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო ღონისძიებები. პატიმართა გარკვეულ ნაწილს საშუალება მიეცა, მონაწილეობა მიეღო კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, დაუფლებოდა ზოგად თუ პროფესიულ განათლებას, შეესწავლა სხვადასხვა ხელობა. სარეაბილიტაციო აქტივობების მრავალფეროვნების კუთხით ყველაზე კარგი მაგალითია N16 და N5 დაწესებულებები. თუმცა რეაბილიტაციის კომპონენტის გაძლიერების მიუხედავად, დაწესებულებებში კვლავ რჩება პრობლემები. პენიტენციური დაწესებულებების უმეტესობაში, განსაკუთრებით, დახურული და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, სარეაბილიტაციო აქტივობების სიმწირეა, არსებულ აქტივობებში ასევე დაბალია მსჯავრდებულთა მონაწილეობის მაჩვენებელიც. უცხოელ პატიმრებს ენის ბარიერის გამო უჭირთ კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან, მათ შორის, სოციალურ მუშაკებთან, რის გამოც, სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვას ფაქტობრივად ვერ ახერხებენ.

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა პენიტენციური ჯანდაცვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა.

კვლავ პრობლემად რჩება სათანადო ფსიქიატრიული დახმარების მიღება. ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა გამოვლენისა და მათთვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებისთვის, ფსიქიატრის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან მათი თანამშრომლობის გაღრმავება. აქვე, სახალხო დამცველი დადებითად აფასებს სუიციდის პრევენციის პროგრამის პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში დანერგვას.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, გასაძლიერებელია სოციალური სამსახურების როლი პატიმართა მხრიდან მოთხოვნა/საჩივრის შეტანის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით.

პატიმრებისათვის საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე ინფორმაცია პატიმრის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, საკნებში კვლავ ხელმიუწვდომელია. პენიტენციურ დაწესებულებებში მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. ამისათვის აუცილებელია, რომ დაწესებულების პერსონალის ანაზღაურება და სამუშაო პირობები უზრუნველყოფდეს რთული და შრომატევადი სამუშაოს კომპენსირებას. დაწესებულებებში მომუშავე მორიგე ექიმებისა და ექთნების, სანიტრების, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების სამუშაო პირობები რთულია, მათ არ აქვთ სამედიცინო დაზღვევა.

6. საკანონმდებლო მიმოხილვა

6.1 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა

ფიზიკური შებოჭვა, იზოლაცია და ქიმიური შეზღუდვა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის შეფასებით, მნიშვნელოვანია არსებობდეს პაციენტთა შეზღუდვის საკითხისადმი მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა ცალსახად უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ საწყის ეტაპზე, შეძლებისდაგვარად, გამოიყენებოდეს აგრესიული ან აღგზნებული პაციენტის შეზღუდვის არაფიზიკური მეთოდები

(მაგ. სიტყვიერი ინსტრუქცია), ხოლო გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში, ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები შემოიფარგლებოდეს მანუალური შებოჭვით. ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი აგრესიული და აღგზნებული პაციენტების არაფიზიკური და მანუალური შეზღუდვის ტექნიკაში. ამგვარი ტექნიკის ფლობა შესაძლებლობას მისცემს პერსონალს, რთულ სიტუაციაში მოხვედრისას, აირჩიოს ვითარებისათვის ყველაზე მეტად შესატყვისი მეთოდი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს პერსონალისა და პაციენტთა დაზიანების რისკს. ფიზიკური შებოჭვის საშუალებების (ღვედი, დამაწყნარებელი პერანგები და ა.შ.) გამოყენება გამართლებულია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, მხოლოდ ექიმის უშუალო ბრძანებით ან მათი გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ექიმს მისგან ნებართვის მიღების მიზნით.

თუ, გამონაკლისის სახით, დაშვებულ იქნა ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენება, შებოჭვის საშუალებების გამოყენება უნდა შეწყდეს პირველი შესაძლებლობისთანავე.

დაუშვებელია ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენება ან მათი გამოყენების გახანგრძლივება დასჯის მიზნით. ასევე დაუშვებელია ფიზიკური შეზღუდვის გამოყენება იმის გამო, რომ ეს ზომა მოსახერხებელია პერსონალის, ახლობლებისა და სხვა პირებისთვის.

პაციენტის იზოლაცია ან ფიზიკური შებოჭვა უნდა გამოიყენებოდეს შესაბამის ინფრასტრუქტურულ პირობებში, ამ პაციენტის ან სხვა პაციენტთა იმწუთიერი, გარდაუვალი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით და ამ ზომის გამოყენების რისკების პროპორციულად. იზოლაცია და ფიზიკური შებოჭვა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ სამედიცინო მეთვალყურეობისა და სათანადო დოკუმენტირების პირობებში. ამ ზომების გამოყენების მიზეზი და ხანგრძლივობა უნდა მიეთითოს პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში და სპეციალურ რეესტრში.[2] პაციენტის ფიზიკური შეზღუდვის ან იზოლაციის შესახებ ჩანაწერი დამატებით უნდა შეიცავდეს ამ ზომის გამოყენების გარემოებებს, იმ ექიმის სახელს, რომელმაც გასცა ბრძანება ან ნებართვა და ინფორმაციას პაციენტის ან პერსონალის მიერ მიღებული ნებისმიერი ტრავმის შესახებ. ეს მნიშვნელოვნად გაამარტივებს როგორც მსგავსი სიტუაციების მართვას, ასევე აღნიშნული მეთოდების გამოყენების სიხშირის კონტროლს.[3]

6.2 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

ევროპული ციხის წესების შესაბამისად,[4] მისჯილი პატიმრები უნდა იყვნენ წახალისებულნი მონაწილეობა მიიღონ სასჯელის მოხდის შესახებ მათი ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს პატიმრის დასაქმებასა და გათავისუფლებისათვის მომზადებას.

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ინიციატივას 2018 წელს ახალი მექანიზმის შემოღებაზე მუშაობის დაწყების შესახებ, რომლის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებულ მსჯავრდებულს, სამუშაო დღეების შესაბამისად, მოსახდელი სასჯელის ვადა შეუმცირდება. სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ იგეგმება პენიტენციურ დაწესებულებებში საწარმოებისა და დასაქმების ახალი კერების შესაქმნელად ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა, რაც პატიმრებში დასაქმებისა და პოზიტიური ქცევის წახალისებისკენ მიმართულ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს.

7. ფოკუსი

7.1 სახალხო დამცველის სპეციალური კვლევა პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ

2017 წლის 6 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მომზადებული კვლევის შედეგები წარმოადგინა.

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული კვლევა მოიცავს სოციოლოგიურ გამოკითხვას, რომელშიც 943 პატიმარმა მიიღო მონაწილეობა, ასევე სამედიცინო პერსონალთან სპეციალური კითხვარის საფუძველზე გასაუბრებას, ფოკუს ჯგუფს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის

[2] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2004)10, მუხ. 27.

[3] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარ. 50.

[4] ევროპული ციხის წესები, წესი 103.3, 103.4.

სამინისტროს წარმომადგენლებთან, სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმებას, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას, სამართლებრივი ბაზის ანალიზს და დაწესებულებებში არსებული სამედიცინო ინფრასტრუქტურის შეფასებას.

კვლევის ძირითადი ამოცანა იყო პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული პირობების პატიმართა ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასება, პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხის შესწავლა, სერვისების შესახებ პატიმართა ინფორმირებულობისა და ამ სერვისებით კმაყოფილების დონის დადგენა. კვლევა ასევე მიზნად ისახავდა 2013 წლიდან პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმების ზეგავლენის შეფასებას.

კვლევის ანგარიშში დადებითად არის აღნიშნული 2013 წლიდან პენიტენციური ჯანდაცვის კუთხით გატარებული არაერთი რეფორმა, რომელმაც ხელი შეუწყო პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას, რასაც სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს. მნიშვნელოვნად არის შემცირებული იმ პატიმართა რაოდენობა, რომელიც პენიტენციური ჯანდაცვის სერვისებს უარყოფითად აფასებს. თუ 2013 წელს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციების – „ახალგაზრდები სამართლიანობისათვის“ და „საზოგადოებრივი დამცველის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მიღებულ სამედიცინო მომსახურებას გამოკითხულ პატიმართა 72% უარყოფითად აფასებდა, ბოლო კვლევის მიხედვით, მიწოდებული მომსახურებით უკმაყოფილო პატიმართა რიცხვი 15-დან 22%-მდე მერყეობს. (გამოკითხულმა პატიმრებმა ცალ-ცალკე შეაფასეს პენიტენციურ დაწესებულებებში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში და სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში გაწეული მომსახურება). გამოკითხულ პატიმართა 12,5-დან 25,7 %-მდე მომსახურებას არც დადებითად და არც უარყოფითად არ ახასიათებს, ან უჭირს პასუხის გაცემა, პატიმართა 72,6 % დადებითად აფასებს სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაწეულ სერვისს, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების და პენიტენციური დაწესებულებების შემთხვევაში კი - შესაბამისად 44,8 %, და 59,2%.

კვლევის შედეგების თანახმად, მიუხედავად პენიტენციური ჯანდაცვის მიმართულებით მიღწეული პროგრესისა, სფეროში არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და გამოწვევა რჩება. პრობლემათა შორის სახელდება სომატური და ფსიქიკური დაავადებების სკრინინგული გამოკვლევების არასრულფასოვნება, პატიმრობის პირობების უარყოფითი გავლენა პატიმართა ფსიქიკურ და სომატურ ჯანმრთელობაზე, სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა და არასათანადო სამუშაო პირობები (პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალი პრაქტიკულად „ინფორმაციულ იზოლაციაში“ იმყოფება, რაც ხელს უშლის მათ პროფესიულ განვითარებას და აისახება მიწოდებული მომსახურების ხარისხზე), ზოგიერთი ექიმ-სპეციალისტის სათანადო პერიოდულობის ვიზიტის უზრუნველყოფა და სამედიცინო მომსახურების ორგანიზების გარკვეული ხარვეზები.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პატიმართა ჯანმრთელობის უფლების დაცვის სათანადო ხარისხის მისაღწევად აუცილებელია პენიტენციურ დაწესებულებებში, განსაკუთრებით დახურული ტიპის დაწესებულებებში, გარემოს გაჯანსაღება, პრევენციული ჯანდაცვის მოდელის დამკვიდრება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სათანადო ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვა, სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობების გაზრდა და ამ გზით პატიმრობის პირობების შემსუბუქება. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს პენიტენციური ჯანდაცვის ტვირთის შემცირებას და პენიტენციური სისტემის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მართვის მოდელის განმტკიცებას.

8. ექსპერტის მოსაზრება

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისა და ჯანდაცვის საკითხებში ექსპერტის მერაბ ქავთარაძის მოსაზრებები პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

პენიტენციური სისტემა პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და შესაძლებელია დრამატულად შეცვალოს ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ქვეყანაში. სასჯელაღსრულების დაწესებულებებს შეუძლიათ შეიტანონ დიდი წვლილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის კონტროლში, დროულად გამოავლინონ და ჩაუტარონ მკურნალობა ტუბერკულოზით, შიდსი/აივ ინფექციით, C ჰეპატიტით და სხვა გადამდები დაავადებებით დაავადებულ პაციენტებს.

2013 წლიდან პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში ჩატარებული ძირეული რეფორმები ფონზე აშკარად გამოხატული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, რჩება გამოწვევების და პრობლემების გარკვეული რაოდენობა, რომელთა გამოვლენა და დაძლევის გზების დაგეგმვა წარმოადგენდა კვლევის ძირითად მიზანს.

გამოვლინდა პრობლემების ჯგუფი, რომლებიც ეხება სომატურ და ფსიქიკურ დაავადებათა სკრინინგს და ადრეულ დიაგნოსტიკას, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების ხელმისაწვდომობას, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მკურნალობის ტაქტიკის დანერგვას, პატიმართა ინფორმირებულობას, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციას და მათ სამუშაო პირობებს, კვლევამ გამოავლინა აშკარა კავშირი ფიზიკურ გარემოს, სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, რეჟიმს, დღის განრიგსა და პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის.

არსებული პრობლემების გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესია და მომავალში უნდა უზრუნველყოს პატიმართა ჯანმრთელობის შემდგომი გაუმჯობესება, ხელი შეუწყოს რეფორმირებული პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის და მისი სერვისების ორიენტაციას პაციენტზე; სისტემაში საბოლოოდ დანერგოს ხელმისაწვდომი, ადეკვატური, ეკვივალენტური და დაავადებების პრევენციაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სერვისები.

ჯანმრთელობის დაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განუყოფელი ნაწილია. კონტაქტი საზოგადოებას და სასჯელაღსრულების სისტემას შორის ძალიან ინტენსიურია, ყოველწლიურად ათასობით პატიმარი თავისუფლდება სასჯელაღსრულების სისტემიდან და უბრუნდება საზოგადოებას, ხოლო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა პირდაპირ გავლენას ახდენს მთელი პოპულაციის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

აქედან გამომდინარე, წინაპირობა, რომ პენიტენციური სისტემიდან საზოგადოებას დაუბრუნდეს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქიკურად ჯანმრთელი მოქალაქე, რომელიც ადვილად შეძლებს ინტეგრირებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წარმოადგენს მთელი საზოგადოების ინტერესს.

9. საერთაშორისო სიახლეები

პოლიციის თვითნებობა და ძალადობა, მათ შორის საჯარო სივრცეებში, შესაძლებელია გაუტოლდეს წამებას - გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში ნილს მელცერი

„ნებისმიერი არააუცილებელი, გადაჭარბებული ან სხვა მხრივ დაუსაბუთებელი ძალის გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან შეუთავსებელია სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვის პრინციპთან“ - განაცხადა ექსპერტმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მისი ბოლო მოხსენების წარდგენისას.

მომხსენებელმა თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა სახელმწიფოების ვალდებულებას უზრუნველყონ მათი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების სათანადო გაწვრთნა, აღჭურვა და მომზადება იმისათვის, რათა აღმოიფხვრას თვითნებური და დაუსაბუთებელი ძალის გამოყენება. მათ შორის, მოვალეობის შესრულებისას უპირატესობა მიანიჭონ არაძალადობრივი საშუალებების გამოყენებას.

მომხსენებლის აზრით, დაუცველ მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ გამოყენებული ძალა, რომელიც პირს განზრახ და მიზანმიმართულად

აყენებს ტკივილსა და ტანჯვას შესაძლებელია გაუტოლდეს წამებას.

სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პოლიციის თვითნებობა უნდა ჩაითვალოს არამხოლოდ ცუდ პოლიტიკად, არამედ უნდა შეფასდეს, როგორც წამება და არასათანადო მოპყრობა.[5]

[5] გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარიატი, გაეროს ექსპერტების განცხადება პოლიციის მხრიდან ძალადობასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=22235&LangID=E [ბოლოს ნანახია:28.12.2017].

საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი 2017 წელი

2009 წლის 16 ივლისს "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სახალხო დამცველის ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

საქართველოს სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას.პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.

კონტაქტი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ: +99532 2234499/2913814/2913815/
2913841/2913842/2913843/2913875/2913876
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
ვებ-საიტი: www.ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქუჩა N9
ტელ: 0422 27 05 44
მობ: 577 50 52 31

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ: 0415 22 36 11
მობ: 577 50 52 34

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქუჩა 4
ტელ: 0362 22 32 83
მობ: 577 12 27 70

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.3
ტელ: 0350 27 99 27
მობ: 591 88 35 38

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
ტელ: 0431253350
მობ: 577 55 33 81

გორი:
სამების ქუჩა N1
ტელ: 0370270549
მობ: 577 78 27 42

მარნეული:
რუსთაველის ქუჩა N51
ტელ: 0357 221970

ოზურგეთი :
დავით აღმაშენებლის N9
ტელ: 0496 27 30 53

ზემო სვანეთი მესტია
სეტის მოედანი N19
596 17 41 41